სამშაბათი, 30 ნოემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 სამშაბათი, 30 ნოემბერი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით	. .	10 მ. — კ.
11	„	. .	9 „ 50 „
10	„	. .	8 „ 75 „
9	„	. .	8 „ — „
8	„	. .	7 „ 25 „
7	„	. .	6 „ 50 „
6	„	. .	6 „ — „
5	„	. .	5 „ 50 „
4	„	. .	4 „ 75 „
3	„	. .	3 „ 50 „
2	„	. .	2 „ 75 „
1	„	. .	1 „ 50 „

ივერია

№ 274 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 274

ფოსტაზე ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კავკასიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. ბეტლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქციამ ბინა გამოიცვალა და გადავიდა უფრო მოხერხებულ ადგილას, სახელდობრ ბარონის ქუჩაზედ, სახლი კ. ალექსი-მესხიშვილისა, კალოუბნის ეკკლესიის გვერდზედ, ფოსტის მახლობლად.

ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 7 (აბონემენტის რიგზეშა).

სახალხო თეატრი

ოთხშაბათს, 1 დეკემბერს, 1904 წ.

ქართულის დრამატიულის დასის მიერ **ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილის**

მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

=ურიელ აკოსტა=

ტრაგ. 5 მოქმ., თხზ. გუტკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ლეკვავა, ნებიერიძე ტ ს ხ ვ.; ბ-ნნი: ვალ. გუნია, გედევანოვი, ივანიძე, შალიაშვილი, ჩარკვიანი, წუწუნავა ტ ს ხ ვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია ✦ **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

ამხანაგობის დირექტორი. მარიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

შემდეგ წარმოდგენისათვის 8 დეკემ. დანიშნულია ვ. გუნიას ბენეფისი.

ავეჯნდება და სამშაბათს დეკემბერს ბეთლემ ბეკერ „ივერიის“ „ოდეონში“ (Воскресенье), რომელნი მიათ. ლ. ტოლსტოისა, ამ ხელოსანმაჭურებრთ, რომელნი თავ. 1 თებერვალამდე შეკვეთილნენ თოთო ოთახნი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზაბერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ს ა ლ ა მ ო ს ბ ი თ:

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ვ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

ს. ტ. არგანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასასლს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბაძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Navasardiana*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ეფრდასნაგის ქუჩ., № 16, სკკუთარი სახლი. სადამის 6—7 საათამდე.

ბაძელიშვილი კონსტანტინე ბაბისაბედის ქუჩ. სახლი მიდფოვის. № 5

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან სადამის 5 საათ., ოდეკის ქუჩ., № 31.

ბაბაშვილი გრიგოლ,—ბოჟუბეის ქუჩ., № 19.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადასტეკრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესურთა ორგანოებიან ფასიანულებულად ყოველ-დღე, ნაშუადღეს 5 საათიდან 6-მდე. ოდეკის ქუჩ., № 15.

ვაშაძე სპირიდონ. ბეტერბურგის ქუჩ. საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—დორმოშადეოვის და ბარანსის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

ვ. ს. მუსხელაშვილი—ეკრანნინის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი საკნაშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., სადამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

ტფილისის სახალხო თეატრი.

ანტრეპრენიზა სიმპეერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

სამშაბათს, 30 ნოემბერს,

1-ლი გასტროლი საიმპერატ. თეატრის არტისტ ქალის ნადეჟდა ამბროსის ასულის **კაპაიანისა**

წარმოდგენილი იქმნება

ტ რ ა ვ ი ა ტ ა

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი კაპაიანი, ხარიტონოვისა, ფერარი და სხვ.; ბ-ნნი სიკჩინსკი, ობრაზცოვი, დემიანენკო, ბაგროვი, ზალინსკი, მუსატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიროვასსი.** პრიმა-ბალერინა **ლენჩიკოვსკაია.**

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეტმანი. კაპელმეისტერი: ს. ეიხენვალდი.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

ოთხშაბათს, 1 დეკემბერს,

გაიმართება ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის-მიერ ქართული წარმოდგენა

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

ურ ი ე ლ ა კ ო ს ტ ა

ტრაგ. 5 მოქმ., გუტკოვისა, თხ. ი. ბაქრაძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ხუთშაბათს, 2 დეკემბერს,

ბენეფისი ნ. ი. სპერანსკისა.

წარმოდგენილი იქმნება

ბ ო რ ი ს ბ ო ლ ო ნ ო ვ ი

ოპერა 4 მოქმედ., მუსიკა მუსორგსკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **„ბანდარინის შვილი“**, ს. კიუისა და **„მანონი“**, მუსიკა მასსენეისა.

ბ ი ლ ე თ ე ბ ი ი ყ ი დ ე ბ ა.

გამგე ი. კედელური.

ო ვ ი ს ა მ ბ ე ბ ი

დ ე ბ ა ე ბ ი და ფ ო ტ ლ ე ბ ი.

ლიაოიანის ბრძოლის სურათები. «რუს. ვედ.»ის კორესპონდენტი ი. ი. ბრძოლის დროს საავადმყოფოში იყო. «ქეჩის ჩარდაზში 40 მკვდარი ესვენა,—სწერს ა. ი.,—ს

*** **„ნოვ. ობოზრ.“ რედაქტორ. ბ-მამეცემლებად** ნამყოფთ ძმ. თავ. გ. მ., ვ. მ. და კ. მ. თუმანოვებს შაბათს, 27 ნოემბერს, გაუმართეს მისმა პატივისცემლებმა სპპტიო ვახშამი იმის აღსანიშნავად, რომ „ბ. ნოვ. ობოზრ.“-ეს თავი დაანებეს და გადასცეს ნოდიც ვეკილს ქალაქთა არაოს; ვახშამი გიმნაზიათ საარტისტო საზოგადოების დარბაზში. დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა დანიშნულს დროს. თავ. თუმანოვთა ლვაწლის აღსანიშნავად, „ბ. „ნოვ. ობოზრ.“-ეს ერთის თანამშრომელ ქალის თაოსნობით, დამსწრეთ ერთმანერთ შორის იქვე შეაგროვეს 181 მან. 90 კაპ., ტფილისში განზრახულ „ბეკდვითი სიტყვის მოდვაწეთა კავშირის“ სასარგებლოდ. ეს ფული ამ ჟამად „ნოვ. ობოზრ.“-ს რედაქციაში ინახება და გადაეცემა დანიშნულებისამებრ მაშინვე, როგორც კი ოფიციალურად დაარსდება ხსენებული „კავშირი“.

*** **სიმხნეს საქმე.** 25 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე გუმბრის მცხოვრებთა: სიმეონთა მლვდლის ტერ-ოვანეს ოვანესიანცისა, სამსონ არუთინოვისა და ჰაიკ ამატუნისა, რომელთაც ბრალდებოდათ სხვებთან ერთად უწესოებაში მონაწილეობის და წინააღმდეგობის გაწევა ადმინისტრაციის წარმომადგენელთათვის, როდესაც ეს უკანასკნელნი საეკლესიო ქონებას იბარებდნენ. განჯის ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო სამივე ბრალდებული და გადაუწყვიტა მდ. ოვანესიანცს და ამატუნს—8 თვით, ხოლო არუთინოვს 6 თვით საპრონიზოლში დასტატრმრეს. პალატამ საქმე ხალხის დაუსწრებლად გაარჩია. ბრალდებულთ იცავდნენ ტ. ნ. იოსანენესიანი და ხატისოვი. პალატამ, უმაღლესის მანიფესტის თანახმად, ბრალდებულნი სრულიად განთავისუფლა.

*** **ქუთ. საგრ. საზოგად. გამარცვის საქმე.** 27 ნოემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლომ დაამთავრა საქმის განხილვა ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გაძარცვისა. ოლქის სასამართლომ გაამართლა მარგალიტაძე და თავგარეულა ძე, ხოლო ტოგარაძეს გადუწყვიტა 6 წლითა და 8 თვით კატორღაში გაგზავნა, დანარჩენ კი 10 წლით კატორღა ეკისრა. (ტ. ფ.).

*** **ზიხის სურათები.** ჩვენ შემოხვეთ გვქონდა გვეხახა სამი სურათი ზიხის მხატვრობისა წმ. ნინოს ცხოვრების შესახები, ახლად გამოცემული „წ. კ. გ. საზოგადოების-მიერ. სურათები მშვენივრად არის შესრულებული ბ ნ კ. მეხნიშვილის ფოტოტიპიაში. ეს სურათები ამოდებულია განსვენებულის მ. სახინინისგან შედგენილ წმ. ნინოს ცხოვრებიდგან. სახინინს ჰქონდა მთელი ალბომი წმიდა ნინოს ცხოვრებისა ოცდა ათის სურათით, დაწყებული რვა წლიდგან წმ. ნინოს გარდაცვლამდე. ეს ალბომი ამ შვიდის წლას წინად ერთ ჩვენს ცნობილს ისტორიკოსს აჩვენა და, რაც შენიშვნები მიიღო, ამის კვალობაზედ შეასწორა. სასურველია, რომ დანარჩენი სურათებიც ერთად გამოიცეს და ამრიგად შევიძენთ წმ. ნინოს ცხოვრების მშვენიერს სრულს ალბომს. საკვირველია, რომ სახინინს ხსენება არ არის ამ სურათებზედ.

*** **ქ. თელავიდგან გვწერენ:** „მთელს თელავის მაზრაში 20 და 21 ნოემბერს დიდი თოვლი მოდიოდა, თუმცა ფული ვერ მოიკიდა, რადგანაც დედამაწა სველი დახვდა, მაგრამ მაინც 3 4 გოჯი დასდო. შემდეგ გადაიღო და დაიპირა მკაცრი სიცივე და ყინვა“.

საქართველო

ᲙᲐᲮᲔᲗᲘ.

მოსაზღვა.—ქურდობა.—სანქციის ყარა.—თელავის ამბები.

წლეულს კახეთს ყოველ მხრივ ბედმა უმტყუნა. არც პურის მოსავალი იყო რიგიანი არც სიმინდისა. ამას ზედ დაერთო ქურდობა. ისეც შეწუხებული ხალხი ამან უფრო ერთი ორად დაადონა. ახლა გაჩნდა საქონლის სატკეცარი და ზაიკა გზები. ხალხი სოფლიდამ სოფელში ვერ ლარ წასულა, გუთანი ვერ გაუტანიათ და ურემი ვერსად წაუღიათ, ზოგიერთი სოფელი სიეწროვის გამო სხვათა სოფელში ჰხნავს, ეხლა კი ესეც შეუძლებელია.

რაკი გზები შეკრულია, ამის გამო სოფლებიდამ თელავში სანოვაგე ვერ შემოდის და ამის გამო ყველაფერი გაძვირდა. მაგალითად, ოთხი თვე იყიდება 40 კ. [illegible] 40—40 კაპ. შეშის [illegible] ხოლ [illegible] ბა. მარტო ვბრ[illegible] [illegible] დარჩენილი. ეს [illegible] ასალეკ-თის მხ[illegible] სამი ვერსის მანძ[illegible] ტყიდგან შემოიტანენ, წესი[illegible] ორ ურმათ გაჰყოს, უფრო სამთა და ისე მოიტანონ თელავში. ასეთი შეშა იყიდება ურემი 4 მ. ერთმა ვარდის უბნელმა გლეხმა ილაპარაკა, თელველები რომ ძვირთა გვასყიდდენ ფარჩის, ხორცის და კიდევ სხვა სალეველს, სამაგიეროთ ეხლა ჩვენ შოვდიკართ მათ ოხტშია. ერთი ურემი სამ ურმათ გადმოვიტანე და 9 მ. ავიღეთ. წარმოიდგინეთ, ზამთრის დასაწყისში რომ ასეთი ᲬᲘᲜᲐᲠᲘᲐ, დასასრულში რაღა იქმნება.

ცოტაც თელავის ყასბებზე. თუმცა მეტია მათზე ლაპარაკი, მაგრამ, მოვალეთ ვრაცხ თავს ესოქვა ორი სიტყვა: ამათ არ იციან, რა არის ნიხრი, რა არის სიძეობა, რა არის სიაფე, სულ ეგოთია მათთვის. ამოღებული ხლმით რომ დადგე, მაინც თავიანთ ნებაზე ვაჰყიდიან. ლორის ხორცი ეხლავე 12 კაპ. იყიდება. ამ მოკლე ხანში ჩემის თვალითა ვნახე, რომ ერთი განათვალებული კაცი მეტად ვასასაკილოვებს, ხორცი ხელიდგან წაართვეს, წადი სადაც გინდა იქ იყიდე, უძველო მაწონი არისო. მარტო ამას არ დაადგერო და კარგი მკვახე სიტყვებიც მიაძახეს. დალოცვილი ექიმები გვირჩევენ, თავს გაუფხიზლდითო. ამბა, როგორ გაუფხიზლდეთ, რომ ამისთანა სიცივეში გვეუბნებიან, ხორცს არ გაყიდით, მაწონი მიირთვითო.

ᲯᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲘᲜᲐᲫᲔ.

Ს. ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘ. (სილნაღის მაზრა). უკაცრავოდ, უნდა ქალაქი მეთქვა და კინაღამ „სოფელი“-ო წამომცდა. მაგრამ ეს წამოცდომაც რომ სამართლიანია?! ყველა სოფელზე პატარა სოფელი სილნაღის მაზრაში აგრამ-დარჩეთია, ამათ ყოლობაზე სულ რომ ცოტა, ე ი. შესამედი ნაწილი მცხოვრებისა 100 და 120 კაცი მაინც დაესწრება ხოლმე. ქ. სილნაღში რაღას ეხედავთ, თუ კი მართლა ქალაქის წოდების ღირსია? დიდის ხნის მოლოდინისა და გიფაციცებულ პარტიების გულის ფანცქალის შემდეგ, აი დაგვიდგა 11-ტი ნომბერი, რომელმაც უნდა გადასწყვეტოს ქ. სილნაღის ბედი და იღბალი. რომელმაც უნდა ამოირჩიოს ღირსეული და გულშემატკივარი ხმისნები ქალაქს 10 საათიდან დაიწყო ს�ა პარტიების თაბუნებმა სილნაღის სამმართველოს კარებისაკენ. ამ თერთმეტ თუ თორმეტ ათასიან მცხოვრებ ქალაქში, ძლივს შეგროვდა 39 კაცი, ამათში სამს ო�რი ხმა ჰქონდა, მაშასადამე, სულ 36 კაცი იყო.

„ლუკმა ვაგვარდეს, ჯამში ჩაგვარდეს“-ო, რომ ი.ᲗᲣᲪᲐᲜᲘ სწორეთ ისე მოახერხა ქალაქის ქვემო უბანმა და ამით ისახელა თავი: მარტო ქვემოუბნის ხალხი შეიყარა, რაც ყაზარმის აქეთა სცხოვრობს. ყაზარმის ზემო უბნიდან კი ორი კაცის მეტი არ შემოაჯაბანეს კრებაზე: ეს სამართლიანია? სამართლიანია-მეთქი? ვამბობ, იმიტომ, რომ ზემოდ უფრო მომეტებული ხალხი სცხოვრობს, მარტო ჰოტორია ქვემოუბნის ტოლია, ახლა ნუკრიანი, მაღაროს ნაწილი? ესენი რომ ნაფოვალოთ, ოთხი ქვემო უბნის ტოლა გამოვა. მაშ, როგორ მოახერხეს? «ხერხი სჯობია ღონესა»-ო, ნათქვამია და ამათაც «იხერხეს». კრება დაჰნიშნეს საქმის დღეს და ზემო უბნები-კი თითქმის სულ ქართველები არიან და მოსაქმე ხალხი. ახლა ცოტა კაი დარგება და ხალხი მოდგებულია მინდვრებში საოეს-საფარცხზე, მთებში შეშაფიჩზე და ზოგიც ქორწილ-რიგებს შესდგომია. ეს ქვემო უბანმა ძრიელ კარგად იცოდა და თავისი ცოდნა გამოიყენა კიდეც.

ზემოთა ვსთქვით, ორი კაცი იყო ზემო უბნიდანაო, ეს ორი კაციც იმიტომ შეუშვეს ალბად, რომ ერთის მამა, ნოდა ნადირაშვილი, ოგერ 6 წელიწადია, რაც ხმოსნად არის და იმდენი იშრომა ქალაქისათვის, რამდენიც ჩინეთმა მე და ზენთვის, მკითხველო. ეს იმის ხათრ-თავაზით, მეორე კონანაშვილი კიდე ქვემოუბნის ავან-ჩავანია და, რაკაც უბძანებენ, «ბალი აღაო» გაიძახის, მაგრამ, არც ერთი არ იქმნა ამორჩეული. ნოდას შვილს დათას დაუდგეს ყუთი, მაგრამ, ზიარულ სეტყვასავით დაეყარეს შავი კენჭი. კონანაშვილ გეგენსაცა ჰკითხეს: «გეგენ, გინდა ყუთი დგიდგადთო?» «ბალი აღაო»—შესძახა. დაუდგეს და დაიწყეს აქეთ იქით ჩურჩული: „კაცებო, ეგ იაგორ ლისინოვის ნამოჯამაგირალია და აბა, ე ნამოჯამაგირალი ჩვენთან როგორ დავსვათ და ისიც «ღლასსაოთო», და დაუშინეს ჯორის წიხლი ვით შავი; მართლა,—მესამემაც მოიტანა მამისაგან რწმუნების ქაღალდი, მაგრამ ის კარის ზურგულსაც არ შემოაცილეს და ასე უთრხეს: რწმუნების ქაღალდი კანონიერი არ არის შემდგარი და მიბძანდიო. ასე და ამ გვარად, მოიშორეს თავიდან ის ხალხი, რომელიც არ ეპიტნავებოდათ ეს სამართალი? განა ვინც ახლა ᲑᲠᲐᲖᲐᲕᲘ თეთრი კენჭი (39 ᲑᲠᲐᲖᲐᲕᲘ!) მიიღო, უმეტესობა იმათნი ნამოჯამაგირლები არ არიან? მარამ „ზოვისა ბაბმა ჩჩიიალებს, ზოგის კაკალიც არაო“ ან სხვის თვალში ბეწვსა ჰხედენ, თავიანთში დვირესაც არა».

ახლა ვნახოთ, როგორი გულ-შემატკივარი მოპყენენ კენჭში:

1) ვ. ენაკოლოფოფოს ამოუვიდა 36 თეთრი,—3 შავი, 2) ნ. ტერ-მათეოზოვს—34 თ. (5 შ.), 3) იაგ. აკოფოვს—26 თ. (13 შ.) 4) ი. საფაროვს—23 თ. (16 შ.) 5) სტ. ამირხანოვს—19 თ. (20 შ.), 6) ი. შავერდოვს—26 თ (13 შ.), 7) ნ ყორდოვს—24 თ. (15 შ.), 8) ვ. ავაქოვს—15 თ. (25 შ.), 9) ი. ბაშინდალოვს 25 თ. (15 შ.), 10) ბ. ოთიროვს—23 თ. (17 შ.), 11) საქულ ამირაღოვს—24 თ. (15 შ.), 12) ნ. ლიანაზოვს—15 თ. (23 შ.), 13) კონსტ. ნადიროვს—16 თ. (23 შ.), 14) იაგ. ზურიეევ—21 თ. (19 შ.), 15) გ. კონანშვილს—15 თ. (24 შ.), 16) ს. ასრათოოვს—20 თ. (19 შ.), 17) ს. ოვაკიმოვს—28 თ. (11 შ.), 18) ა. შავერდოვს—14 თ. (25 შ.), 19) ტერ-გრიქუროვს—20 თ. (19 შ.), 20) ი. შავერდოვს—27 თ. (12 შ.), 21) ნ. ყულიჯანოვს—18 თ. (15 შ.), 22) ნ. ანანოვს—13 თეთრი, (21 შ.), 23) ს. სარქისოოვს, თითქმის ერთად-ერთს მართლის თქმელს და მიუფერებელ კაცს, 18 თ. (16 შ.), 24) ა. მირხანოვს 5—თეთრი, (29 შ.), 25) ა. ზურიეევს—10 თ. (25 შ.) 26) მ. ბაშინჯაღოს—8 თ. (28 შ.), 27) დ. ნადირაშვილს—17 თ. (17 შ.), 28) ა. ფარემუზოვს—11 თ. (24 შ.), 29) წ. ამირხანოვს—9 თ. (25 შ.), 30) ს. ავაქოვს (ნამამასახლისარს)—6 თ. (29 შ.), 31) ს. ვართანოვს (გულით უნდოდა მამასახლისობა)—8 თ. (27 შ.). ამბობენ, ერთი მეტად მოტრფიალე და გულით მდომი, ხვიოქ გადადენილი დარბოდა დუქნებში და სთხოვდა ხალხს, «თქვენი ᲗᲘᲠᲘᲗᲘᲗ, მტრის გულისათ ნუ გამხდიან და თეთრი კენჭი ჩამიგდეთ, არ გამაშაოვოთ და მე ვიცი და ჩემმა ბიუროამ». რამდენად მართალია, არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ ბევრი გულ-ნატკენია და და დიდი მთქმელა-მოთქმაც გამოიწვია არჩევნებმა, გაიძახიან, კანონიერი არ იყო ეს კრება არჩევნებისაო.

ᲡᲐᲓᲡᲐᲚᲔᲚᲘ.

ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲚᲔᲜᲘᲓ

...ნიავი ფოთლებს ეკვროდა
ჩუმის შიშინით ჰჭრებოდა,
ბულბული მეტად ხარობდა—
რომ განთიადი დგებოდა...

ცისა ფირუზი ოცნებით
ღრუბლიდგან იშვრიტებოდა.
სოფელს ცუდს არარას უქადდა,
პირიქით ეხარებოდა...

ცაზედ გუნდ-გუნდდ ღრუბელი
ერთ ადგილს იკრიბებოდა,
რომ მტერს საშიშარს, ქარაშხალს,
ერთბაშად შებრძოლებოდა...

ტყის საიდუმლო შიშინი
გულსა მალამოდ ხვდებოდა;
ჩიტთა ტრიამულ ჭიკჭიკი
შიდამოს ეფინებოდა...

სოფელი გარდაშლილიყო,
ცას ქვეშით ასპირებოდა,
ცის განაჩენს მოსმენით
მას გული ასძგერებოდა...

ზღვა, რისხვით მობობოქარე
სალ კლდეს არ ეკახეებოდა,
ზვირფუვს ზეიერთებზედ აწყობდა,—
კვლავ კალაპოტში დგებოდა...

ნიავი ფოთლებს ეკვროდა,
ჩუმის შიშინით ჰჭრებოდა...
ბულბული მეტად ხარობდა—
რომ განთიადი დგებოდა...

ია[illegible].

ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ ᲒᲐᲠᲔ
V
პასუხი ქალთა-ᲯᲒᲣᲤᲘ

კიევი, 11 ნოემბერს.

პაწია ᲯᲒᲣᲤᲘ ქართველ ქალთა გთხოვს, პასუხი მოგვეცით: «რად ირთავს ჩვენებურ ახალგაზდობის უმრავლესობა უცხო ქალებს. როგორც ვიანგარიშეთ მარტო თქვენს ქალაქში ამ მოკლე ხანს 12 ახალგაზდას დაუწერია ᲯᲒᲐᲠᲘ მანდაურ ქალებზე. რა ღმერთი უწყრებათ? ჩვენ სხვებზე ნაკლები ვართ? თუ აგვიხსნით მიზეზს, დიდი მადლობელი ვიქნებით. თქვენი პატისმცემელი ᲯᲒᲣᲤᲘ ქართველ ქალთა“.

ასეთის შინაარსის წერილი მივიღე საქართველოდგან ამ დღეებში.

წერილის გამომგზავნნი ძალიან გაჯავრებულნი არიან, მაგრამ რა ვუყოთ... დალოცვილო თავიანთი ადრესები რომ აღენიშნათ, ცალკე ბარათით მივაწედენდი პასუხს, ეხლი-კი იძულებული ვარ გაზეთში დავსტამბო ღია წერილი.

წაიკითხე ყურადღებით ქალთა მონაწერი... დავაპირე პასუხის დაწერა, მაგრამ უცად ვერ მოვახერხე: არც ისე ადვილი ყოფილა, როგორც მგონა...

«რატომ ირთავენ მანდ ქალებს? ჩვენ სხვებზე ნაკლები ვართ?»—მეკითხებიან ჩვენებური მანდილოსნები.

. რატომ ირთავენ აქ ქალებს? იმიტომ, რომ სურთ ეოილი ჰყავდეთ სახლში.

რატომ ირთავენ უცხო ქალებს? ალბათ—ან თქვენ, ქართველნო ქალნო, არ მოგწონთ, ან იმათ—არ მოსწონხართ.

ეს ერთი. მეორე—თვით ვაკმატონების სისუსტეა: თვენთან ჩამოსვლამდის ვერ ითმენენ უცოლობას. თქვენი სისუსტეა, ამ ახალგაზდების მანდ ყოფნის დროს ვერ იგებთ მაგათ გულს.

სად ვეძებო მიზეზი? ამათში თუ თქვენში? ესენი არ კადრულობენ თქვენთან ამხანაგობას, თუ თქვენ არ გსურთ ᲭᲘᲛᲝᲜ ცოლი გახდეთ? ამათი ᲭᲯᲣᲚ, განვითარება აღემატება თქვენსას, თუ თქვენ გვარი შვილობით, სწავლა-ცოდნით ბევრად მაღლა, დგახართ?

ამეების ახსნა ისევ აქ დაცოლიანებულს მივანდოთ. ამ აზრით და თქვენის თხოვნის შესასრულებლად დღეს ვეწვიე ზოგიერთ აქაურ ქართველ სიძეებს და ვთხოვე ეპასუხნათ ჩემთვის ჩამოთვლილ კითხვებზე.

აი რა მითხრეს, პატივცემულნო მანდილოსანნო:

«ᲯᲐᲚᲣᲗ—შენ, ჩემო ძმაო, საქმე არ გაქეს ალბად. ვის რა საქმე აქვს—ვის შვილთან!... ავსტრალიელი ქალიც რომ შვილთანო, არაფის არა აქვს უფლება შენიშნავნ მომცეს ან მიზეზის ახსნა მომთხოვოს. მე ადამიანი ვარ და ამ მხრივ საკუთარ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲡ ვაკმაყოფილებ... ამაზე ლაპარაკიც არ ღირს»...

იკანემ მეტი არა მითხრა რა. ვესტუმრე არჩიდს, რომელმაც გაისწორა ხუჭუჭი თმები და რიხიანად წარმოსთქვა:

რეგვენი ყოფილხარ შენ, ჩემო ბიძიავ. სად ჩვენი ქალები და სად უცხოელები?!.. სად ცა და სად მიწა?! ექვსი წელიწადია უკან დავდეევდი ჩემს ეხლანდელ ცოლსა და ძლივს ეხლი დათანხმდა. ჩვენში ასეთი ქალი მაჩვენე, თუ კაცი ხარ... ამის ერთ შემთხვევაში არ გავცვლი ქვეყანას. ჩვენი ქალები ᲯᲔᲠ უმაღლესს სწავლით აღტეურელს ვერ გაუწევენ ამხანაგობას. ამიტომ ვირთავთ აქ ქალებს»...

გიორგიმ სიცილით შეჰნიშნა: «შენ ქალებს ვეძალად მიუწვევიხარ. თუ გული ერჩით, რატომ სახელი და გვარი არ მოუწერიათ. დარწმუნებული ვარ, ჩემი ცოლის ერთ თითად არ ღირს მთელი შენი ქალების ᲯᲒᲣᲤᲘ. ჩემ ცოლს, ვინ იცის, რამდენი ავადმყოფისთვის მოუბრუნებია სული. ოთხი ნელიწადი «აკუშერკად» იყო საავადმყოფოში და ყველას დასავით უყვარდა». რას ამბობ—ჩვენ ქალს ასეთი გული ოვის დღეში არ ექნება... არა, ძმაო, მე ჩვენ'ში ქალს არ შევირთავდი»...

ᲯᲐᲜᲘᲗᲝᲛ ნაღვლიანად მიპასუხა: „მე თვითონაც არ ვიცი, ძიავ, როგორ მოჰხდა. ᲯᲐᲠᲘᲗᲝᲛ დაწერას არას დროს არ ვფიქრობდი. არც ქალი ფიქრობდა ამას წინად. ერთი თვის წინად მითხრა—უთუოდ უნდა შემირთოო, ისე აქედან არ გაგიშვებო. ბევრი ვილაპარაკეთ, მაგრამ, როგორც ხედავ—ᲯᲐᲠᲘᲗᲝᲛ დავიწერე. ჩემთვის ქორწილის ნაცვლად ქრისტეს ტირილი იყო...

ᲜᲘᲚᲢᲝᲠᲗᲐᲛ შემომჩივლა: «არ შეირთავდი, ძმაო, მაგრამ რას ამბობ, ეხლანდელ დროში ფულია ყველაფერი... აღებულ ფულით საქმეს გავაკეთებ. ერთი უბედურება ის არის, რომ ჩვენებური არ უყვარს, მაგრამ ვისი ბრალია: ჩვენებმა საზოგადოდ არ იციან საზოგადოებაში თავის დაჭერა... სიმდიდრე აქვს, მაგრამ თვითონაც კარგი ადამიანია ჩემი ცოლი„...

ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ შეეხედი თეატრში. «ეჰ, თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს, ვაის გავეყარე და უის შეეყარეო—გაგიგონია უთუოდ. სულ არ უნდა შერთოო ცოლი. ჩვენს ქალებს არ ვთვლიდ ღირსად, ვერ გამიწევენ ამხანაგობას-მეთქი, შეეირთე უცხო და ეხლა ეს ერთი კვირაა გავშორდით სამუდამოდ,—ერთმანეთისა არა გვესმი-რა...

«ჩვენებური ქალი აგრე სასტიკად არ მომეპყრობოდა... წარმოიდგინე - ჩემი და ჩემიანების ლაპარაკი, მიხვრა-მოხვრა ყოფა-ქცევა სასაცილოდ არ ყოფნიდა»...

ᲒᲐᲠᲘᲡᲘᲛᲐ ვახშმად მიმპატიჟა და ღიმილით მითხრა: «არა, ძმაო, ჩვენ ქალებზე მე გაჯავრებული ვარ. ვისაც გავეარშიყე—არავინ ყურადღება არ მომაცქცია: ᲯᲔᲠ სწავლა დაამთავრე, შეიძინე ცოდნა, იქ ხელს შეგიშლიო... აქ კი სიხარულით ყელზე გეხვევიან, უფრო გაფასებენ. ჩემს ცოლს უთხარ თუ არა, მომწონხარ-მეთქი, ტუჩები ჩამიკოცნა და ტკბილის ხმით ჩაიღიღინა: «მიყვარხარ, შენ ჩემი ღმერთი იქნები და მე შენი მონაო». მერე შენ კარგად იცი, რამდენი დასდევდნენ და ეხლაც რამდენი დასდევს, მაგრამ ჩემი ცოლი ცუდს არას დროს არ ჩაიდენს. რაც ხმები დადის - სისულელეა. ჩვენში ნინოს გადავაკვდი თავს, მაგრამ ყურადღებაც არ მომაქცია. როდესაც ექიმი გავხდი და აქ საავადმყოფოში მუშაობა დავიწყე, მომივიდა წერილი საქართველოდან. «ეხლა ჩვენ შეგვიძლია თავისუფლად მოვილაპარაკოთ. ეხლა ჩემი მანდ ყოფნა ხელს არ შეგიშლის, ეხლა უკვე ექიმი ხარ,—მწერდა ნინო. მაშინ მე ჩემი საცოლე აქვე გვერდით მყავდა. ითასი ნინო ვერ დამატოვებინებდა იმას. მეც მივწერე პასუხი. შავი აქვე მაქვს, ეხლავ გადმოგცემ. ეს ლექსი ლადომ დამიწერა».

არჩილმა გადმომცა შემდეგი ლექსი:

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

—

ტურფავ, ვიცი—
შენი ფიცი
არის მარტო სიტყვათ კრება.
ყურს-კი ეესმის,—
გულს არ მესმის,
კვალს არ აჩენს, ისე ჰჭრება.

—

არ მოწამს შენი
ეს ოდენი
სითვალთმაქცე, ნეტარება:
ვიცი შენს გულს,
ფიცში შებმულს,
დღეს რად ახსენ მდუმარება.

—

როს შენს გარე
არე-მარე
არ მხიბლავდა, აღმავფრენდი,
ტკბილის ენით,
სანატრ ლხენით,
დღე-ღამ გაქებ-გადიდებდი,—

—

შენი გული
აღგზნებული
ნაზად სხვისთვის აიძგერე,
გულ წარმტაცის
სითვალთმაქცის
ჩანგიც მისთვის აიკიდერე.

—

დღეს ძველ სახეს,
მიჯნურთ მახეს,
სილამაზე დაეკარგა:
გესლის ᲯᲐᲓᲝᲗ,
ტრფობის სანდოთ,
მომხიბლველად—აღარ ვარგა.

—

ᲰᲮᲔᲓᲐ და ᲒᲠᲫᲜᲝ
დიდად ნანობ,
ნაზი გული გიღლნდება.
ჩემთვის კრული
სიყვარული
მხოლოდ ეხლა გაგონდება!...

—

არ მრწამს!... ვიცი —
შენი ფიცი
არის მარტო სიტყვათ კრება:
ყურს კი ესმის,
გულს არ მესმის,
კვლის არ ჰრნს, ისევ ჰქრება...

აი ყველა აზრი აქ დაგვირგვინებულა
ახალგაზდა ქართველთა.

დასამატებელი მე არა მაქვს-რა. არ-ჩილის, დავითის და სხვათა სიტყვები ცოტათი დაკამყოფილებენ ჩემ პატივ-ცემულთ მანდილოსანთ. ჯერ ესეც იკ-მარონ.

პირადად მე დიდად პატივს ვცემ ამ ქართველ ქალთ, თანაუგრძნობ და საჯაროდ ვაცხადებ, რომ უცხო ძალუა-ზე ნაკლები ისინი არ არიან...

«ჩვენ ახალგაზდათა ჯიბრზე ქალებმაც უცხოთა შორის უნდა გამოძებნონ საქმ-რონი... ზოგნი ამბობენ, რომ ჯი'ზისა და მომავალ თანამბისთვის აგრე აჯობებსო»...

შენ რას ფიქრობ, მკითხველო?..

მადალა ბოდვაძე.

საჯარო განმარტება

(«ძველის სტუდენტის» ბასუხად)

დორპატის მოსწავლე ქართველობას გაუმართავთ საღამო და ქართულის საერო ფერიანის დროშებით მოურთავთ, მაგრამ ფერება, როგორც ძველი სტუ-დენტი გვაუწყებს დორპატიდან «ივერი-ის» ნოემბრის 26 თარიღით. ნებამყოფ-ლობით შეურჩევიათ და ამიტომ გვეკით-ხება ძველი სტუდენტი, კარგი იქმნება ვინმე შეგვატყობინებდეს, საქართველოს რა და რა ფერის სურა დროშა ჰქონ-დათ.

სიამოვნებით ვასრულებთ, მაგრამ არ შეგვიძლიან მწუხარებაც არ გამოთქ-ვათ. ამ შემთხვევამ კიდევ დამტკიცა, რომ ქართველი მოწაფეები სამშობლო საკლასიკო ავტორებს ნაკლებად იცნო-ბენ და არც ჟურნალ-გაზეთობას ეტანე-ბიან. შოთა რუსთაველს ვეფხის ტყაოსა-ნში აქვს ერთი ადგილი, სადაც არის ნათქვამი: «ავმართე დროშა მეფისა ალ-მითა (ფლაგია) წო

დ ზაგთა»...

ეს ამბავი ვაუწყე მკითხველებს «ივერი-ისვ» საშუალებით ორიოდე წელიწადი იქმნება და კიდეც მოვთხოვთ სპეციალი-სტებს საქმის განმარტება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მათთვისაც ტერრა ინ-კოგნიტა ყოფილა.

კდდა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული ოფ-ფასიანი წარმოდგენა

როგორც ამას წინად იყო ნათქვამი გაზეთებში, ქართველის დრამის ამხანაგო-ბამ გადასწყვიტა, ოთხშაბათის გარდ, კვირაში ორი წარმოდგენა კიდევ გამართ-თოს ხალხისათვის დაკლებულის ფასებით: პარასკევებით—ტფილისის საკრებულო-ში და კვირაობით—ვეტკლინის თეატრში.

თუ რამდენად საჭიროა ამისთანა წარ-მოდგენები ხალხისათვის, ამას ყველა ადვილად წარმოიდგენს, ვინც კი ქარ-თულ თეატრში ხშირად დაიარება და ვისაც ყურადღება მიუქცევია საზოგადო-ების იმ ნაწილისათვის, რომელიც, ხელ-მოკლეობის გამო, უფრო იაფ-ფასიან ადგილებსა და ქანდარას სჯერდება. ადვი-ლად შეამჩნევს კაცი, რომ საზოგადო-ების ამ ნაწილისათვის თეატრი აუცილე-ბელ საჭიროებად გამხდარა. მართლაც და, მხოლოდ ქართულ თეატრში თუ შეგხვდებათ ისეთი მაყურებელი, რო-მელსაც თეატრში მთელი ოჯახი წამოუ-ყვანია ძუძუ-მწოვარა ბავშვითურთ და გულ-დასმით ისმენს, რას ასწავლიან სცე-ნიდან, რა პასუხს აძლევენ მისს გაღვი-ძებულ წყურვილს (ცოდნის შეძენისას).

ამიტომაც თეატრის ბედ-იღბლის გამ-გენი, როგორც გამგეობა, ისე მსახიობ-ნიც, ფრთხილად უნდა მოეკენენ ამი-სთანა მაყურებელს, შესაფერი საზრდო მიაწოდონ მისს ცოდნის მოყვარეობას და. მისი სული და გული იმ ტალკვესად გარდაქმიონ, რომელიც ჩვენის ქვეყნის გაჭირვების დროს სასიკოცხლო ნაპერ-წკლებს დფრქვევით გასცემს პასუხს ჩვენზედ მოსულს მტერს.

მესამე სახალხო წარმოდგენა გამარ-თული იყო კვირას, 28 ნოემბერს, ვეტ-კლის თეატრში. წარმოადგინეს «სამ-შობლო». ხალხი ნაკლებად დაესწრო წარმოდგენას, მაგრამ ეს წარმოდგენის გამგის ბრალია: აფიშები დროზედ და საჭირო ადგილებზედ არ იყო გაკრული, ისე რომ, ბევრმა არც კი იცოდა, იყო თუ არა წარმოდგენა. თამაშობით კარგა თამაშობდნენ ჩვენნი მსახიობნი, მაგრამ მაინც უგულობა ეტყობოდათ ზოგიერთს მაინც.

ბიბლიოგრაფია

М. Г. Болквадзе—«Исповѣдь адвоката». 2-ое изд. Кіевъ.

(ვეძალის

რომელიც შეეხება ფინლიანდიაში სახელმწიფო წესწყობილების და მშვიდობიანობის დაცვასა, აგრეთვე უმაღლესი რესკრიპტიც 21 დეკემბრის 1903 წ. თარიღითა, რომლითაც ფინლიანდიიან გაგზავნილებს ჩამორთმეული აქვთ პოლიტიკური და საზოგადოებრივი უფლებანი.

მადრიდი. სენატმა შეიწყნარა კანონპროექტი ანარქიზმის მოსპობის შესახებ.

29 ნოემბერი.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა: 28 ნოემბერს, პირველ საათზე დღისით, ნევის პროსპექტზედ, დაწყებული პოლიციის ხიდისა და საღოვის ქუჩებს შუა, დიდძალის ხალხის თანდასწრებითა მოხდა უწესრიგა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მომეტებულად მოსწავლე ახალგაზდობამ, ასე რამდენმე ათასმა კაცმა. სხვა და სხვა ალაგას ისმოდა დემონსტრატიული სიმღერა, ყვირილი და ააფრიალეს ათი წითელი ბაირაღი მთავრობის საწინააღმდეგო წარწერებითა. ქვეითებმა და ცხენოსანთ, პოლიციისა და ჟანდარმთა დივიზიონის შემწეობით, ბრბო საჩქაროზედ გაფანტეს. ბაირაღები ჩამოართვეს, ხოლო მებაირაღენი და ისინი, ვინც წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას, დაიჭიერეს. საზოგადო ალიაქოთისა და მიწევ-მოწევის დროს დემონსტრატებმა ჯოხები იხმარეს, ხოლო პოლიციის მოხელენი იძულებულნი გახდნენ ხმლები ამოეღოთ, რომელთაც ბრტყლად სცემდნენ. ვერ გადარჩნენ უცემრად, დაწვავებლად და დაუშრეტლად, მაგრამ არავინ მოუკლავთ, არც დასახიჩრებულან, არც მძიმედ დაშავებულა ვინმე. პოლიციამ თავგამოდებულის შრომით სამს საათზე დღით სრულიად ალაგინა წესიერება, ხოლო ოთხს საათზე ნევის პროსპექტზა ჩვეულებრივი სახე მიიღოს.

საღამოს დეპეშები

29 ნოემბერი.

ᲧᲐᲖᲜᲘ. ბრალმდებელმა სთქვა, არ გაგონილა და არ ქმნილა ასეთი დანაშაული, ასეთის ცხოველის ხატის შეხებაო. შუგაჩოვმაც კი ვერ გაბედა შეჰხებოდეს მის ძვირფას სამკაულსაო. დაწვრილებით დაჰხატა სურათი დანაშაულობისა და მოთავედ დასახა სტოიანი და კომოვი, ჰმალავდნენ ქურდებს და მკრეხელობდნენო. კუჩერგოვისა და შილინგის ქალს ვერ დავდებ ბრალს ქურდების დამალვისასაო. ზაბაროვს ხელი შეუწყვია ტაძრის გაკურდვაში ფულის გატაცებაში, გარნა ვერ ვიტყვი, ფიქრადაც არ მინდა გავიტარო, რომ ასეთს მოხუცს, რომელიც მუდამ მონასტერს ემსახურებოდა, ხელი შეუწყოო ფშიდა ხატნი გაეტაცნათ ქურდებს. ჩაიკინის ახალგაზდა დამცველმა ტალბერგმა ახსენა ჰოპნოზი საზოგადოების აზრის, რომლის გავლენის ქვეშაც იმყოფებიან ნაფიცნი მსაჯულნიო. საეკვოა ის საბუთები, რომელიც ჩაიკინის წინააღმდეგ გამოირკვა. ხატების დაწვაც შეუძლებელ საქმედ მიმაჩნია. ბრალდებულისა სთქვა, რომ ბედის აუცილებელმა ვითარებამ ეს კაცი დამნაშავედ გადააქცია, გარნა სულ ვერ დაჰხშო მის გულში კეთილი და ადამიანური გრძნობანია. ადნიშნა მრავალგვარი ტანჯვა ბრალდებულისა ცხოვრებაში და სიტყვის დასასრულ ასე მიმართა ნაფიც მსაჯულთ: «მცირედი თხოვნა მადგია ენაზედ—დიდს სატანჯელს ნუღარ მიუსაჯავთ, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო იმ კაცს, რომელმაც უიმისოდაც ბევრი იტანჯა». მაქსიმოვს დამცველი თითქმის სრულიად ამართლებდა. მკრეხელობით ხატების გატაცებაში მონა წოდეობა არ მიუღია არც საქმით და არც აზრითაო. გაზი თუ შეუჯვეთა, არც კი იცოდა, რომ სამკრეხელო საქმე უნდა გაკეთებულიყო მის შემწეობითაო, თვით ბრალდებული უარს ამბობს ბრალი დასდოს ჩემს კლიენტსაო.

ᲧᲐᲖᲜᲘ, 29 ნოემბ. კომოვის დამცველმა უშაგოვმა სთქვა: ერთი წრეზე ვერ დაკაკუნებთ ჩაიკინსა და კომოვსაო. კომოვი არისტოკრატი კი არ არის შიშველტიტველ ბოსიაკობისა, არამედ საცოდავი ქურდ-ბაცაცა და ჯიბგირია. საბუთები არა გვაქვს, რომ მძიმე სასჯელი მიესაჯოს. სიტყვა ასე დასთავა: «კაცთა განკითხვისათვის საიდუმლოდ დარჩა, ერია თუ არა კომოვი ამ ქურდობაში, ამიტომ დაე, მაშ, ღვთის განკითხვამ განიკითხოს» —საზოგადოება ელოდა ნაფიც ვეძლის ისეკსკის სიტყვას, კუჩერგოვის ქალის დამცველისას. სიტყვა მისი იყო ტურფად ნაგები და მოქარგული. არ არის საბუთი, რომ მონაწილეობა მიეღოს ბრალდებულს ამ საქმეში და დაეშალოს ქურდებია; ქურდების ორგანიზაციის წევრობისათვისაც გამოუსადეგარი იქმნებოდა. თუ დაედება ბრალი, ის თუ, რომ არ აცნობა პოლიციას, რაც გიგია, მაგრამ აქაც არის მიზეზი, რომელმაც უნდა. შეამუბუქოს მისი დანაშაული: ეგ არის სიყვარული და შიში. გათავდა თქმა სიტყვებისა დამცველთაგან და თავსმჯდომარემ ნება მისცა ბრალდებულთ უკანასკნელი სიტყვა ეთქვათ. ჩაიკინმა სთქვა, ჩემი ახალგაზდობაა შეიბრალეთ, 28 წლისა ვარო. კომოვმაც აგრედვე მოხუცი ზახაროვი ტირის და ითხოვს შებრალებას. კუჩერგოვის ქალი—ჩემი შვილები გებრალებოდეთო, მინდა კარგი დედა ვიყო და გთხოვთ სასტიკად ნუ დამსჯეთო. —შილინგის ქალი ცრემლ-მოდრეული სთხოვს, შეიბრალეთ ჩემი მოხუცებაო. — ძალზე დაღამებული იყო და განაჩენის გამოცხადება გადადიდო.

ᲨᲐᲜᲰᲐᲘ, 29 ნოემბერი. (რეიტერი). იაპონელებმა მდ. შახეყენ რუსის პოზიციებს საშინელის სიძლიერით დაუშინეს ყუმბარები, ჰფიქრობენ, რომ იაპონელები ჩქარა დაიწყებენ საერთო სატეგ ომსაო. შეკინიდან მიღებულის ცნობებით, რუსებმა უკან დაიწიეს მდ. ხუნხეს ნაპირებიდგან შემდეგ საშინლის ბრძოლისა, რომელმაც სამი დღე და ღამე გასტანა შეუწყვეტლივ. ამბავი მივიდა, რომ იაპონელებმა ვითომ სატეგი ომი დაიწყეს.

ᲢᲝᲙᲘᲝ, 28 ნოემ. (რეიტერი). როგორც მანჯურიის იაპონელთა ლაშქრიდგან იუწყებიან, 25 ნოემბერს მარცხენა და მარჯვენა ფრთაზედ შუადამემდის ისმოდა თოფ-ზარაბაზნების სროლა. ჰფიქრობენ, ეს იმას ჰნიშნავს, რომ იაპონელნი ჩქარა სატეგ ბრძოლას დაიწყებენო.

ᲢᲝᲙᲘᲝ, 28 ნოემბ. (რეიტერი). იაპონელები ისევ უშენენ ზარაბაზნებს პორტარტურის ესკადრას. არა ჰგონიათ, რომ ამ ესკადრამ შესძლოს წინააღმდეგობის გაწევა; ჯავშნიანი გემი «სევასტოპოლი» ლუზა-ჩაშვებული სდგას გარე რეიდზედ, მაგრამ ალბად დამით ისევ დაბრუნდება ნავთსადგურში, იაპონელთა ნადმოსნების თავდასხმის თავიდან ასაცილებლად.

ᲢᲘᲐᲜᲪᲘᲜᲘ, 29 ნოემბერი (რეიტერი). შეუწყვეტელი ბრძოლა ისევაა მუკდენის სამხრეთით. რუსების ჯარების რიცხვი, როგორც ამბობენ, 4-ასი ათასი კაცამდეა, აქედან 40 ათასი კავალერიაა. ყველაფრიდანა სჩანს, რომ რუსები ეცდებიან შეიმაგრონ მუკდენი. ირწმუნებიან, რომ ცინჯოუს მახლობლად იაპონელებმა 2 ათასი კაცი გადმოსხესო. როგორაც სჩანს, სამხედრო მოქმედების რაიონს იქით უნდათ გაჰგზავნონ მსწრაფლი რაზმი, რომ რუსებს გზა გადუკრან ტელინიდგან ჩრდილოეთით.

ᲢᲝᲙᲘᲝ, 28 ნოემ. (რეიტერი). სხვა და სხვა ჯგუფის მეთაურებთან მინისტრებს კრება ჰქონდათ. ჯგუფთა მეთაურებმა მოიწონეს სამხედრო საკრებისათვის მთავრობის-მიერ შეუშავებელი ხარჯთ-აღრიცხვა, მაგრამ ზოგიერთნი ცვლილებანი კი მოახდინეს, რათა განზრახული ახალი გარდასახადები შემოკლებულ იქმნას რამდენსმე მილიონ გირვანქა სტერლინგით. მთავრობამ გადასწყვიტა, ეს ფული შეავსოს ზოგიერთი ჩვეულებრივ ხარჯთა შემოკლებით.

ᲐᲠᲘᲝᲚᲘ, ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსის თაოსნობით შეიკრება და გაგზავნა პეტერბურგში დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის სახელობის საწყობში არიოლის გუბერნის სამღვდელოებისა, მონასტრებისა და სამწყსოს-მიერ შეწირულ ფულით თბილი ტანსაცმელები დაკრილი და ავადმყოფ ჯარის კაცთათვის, სულ 48 ათასი მანეთისა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. უძველ შეკრდომილნი დეპეშა გენ. კუროპატკინისა ხელმწიფის სახელზედ, 28 ნოემბ. თარიღითა: «27 ნოემბერს საღამოთი ბრძოლის შესახებ მოხსენება არ მოსულა. ღამით 20 გრადუსამდე ყინვაა».

სახა ოვის დეპეშა: «28 ნოემბერს ბრძოლის თაობაზედ მოხსენება არ მოსულა. დღეს ალმასავლეთ-ჩრდილოეთის ქარი ჰქრის და 17 გრადუსამდე ყინვაა რეომიურით».

დროებით რედაქტორი **ᲒᲠ. ᲫᲘᲣᲨᲘᲫᲔ.**
გამომცემელი **Ა. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

გამოსაღეგი ცნობანი:

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ

26 ნოემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიეში 100 ფრანკაში	37,30
ლონდონში ჩეკები	94,40
ბერლინში „	46,30
პარიეში „	—
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	91½ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურცე. სახელ. სალდ. მამულთა ბანკისა	89⅛ მყ.
5% პირ. შინაგ. მოგ. ბილ. 1864 წ.	425 ნ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგების. ბილ. 1866 წ.	316 ნ. გაყ.
5% გირავნ. ფურცე. სახელმ. სალდ.-მამ. ბანკისა	267 წ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკუდიტო სახზე.	—
4½% ობლიგაციები იმავე სახზე-გადიდებისა	—
4½% ტფილ. სალდ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცელ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სალდ. მამ. ბანკის გირ. ფურცელ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

ამ წლის ივნისის 7-ს ქ. ტფილისში დაიბეჭდა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა «სხვანი», რომელსაც სავნად აქვს ჭბეჭდის ქართული სახალხო და საუმწეოდო წიგნები მეცნიერების ყველა დარგისა და სიტყვიერებისა.

ამხანაგობა დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალ 1905 წლის თებერვალდან.

ამხანაგობას დამფუძნებელმა წევრებმა ამაიჩიეს დირექციათა სარედაქტიო კომისია, რომელსაც დაავალეს მოამზადოს შესაფერი მასალა გამოსაცემად.

ამხანაგობას ჯერ-ჯერობით აზრად აქვს გამოსცეს შემდეგნი დარგის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი: საქმიანი, სამეურნეო, ისტორიული და პოლიტიკურ-ეკონომიური.

ხსენებული დროებითი რედაქცია სთხოვს ბინა-ავტორს, მოაწოდონ თავიანთი თხზულებანი გასაძინელად და გამოსაცემად.

რედაქცია სთხოვს ავტორებს ნაწარმოებთან ერთად აღნიშნოს მას წერადთ: რა პირობებითი სურთ დაუთმონ ამხანაგობას თავიანთი თხზულებანი.

ნაწარმოების გამოგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს (ქ. ტფილისი, იბნადოფის ქ. № 44.), ანუ ალექსანდრე გრიგოლის ძეს სოლოლაშვილს. (ქ. ტფილისი, გოლოვინის პრასპ. № 12).

სარედაქტო კომისიის წევრნი: ალ. სარაჯიშვილი, ხ. დადოტი, ს. გორგაძე, ალ. სოლოლაშვილი.

იბეჭდება და ნოემბერში გამოვა

ახალი საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

მოზრდილ და მცირე წლოვან ყრმათათვის, თვეში სამი წიგნი—ორი მცირე წლოვანთათვის და ერთიც მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით. წელიწადი—1-ლ ნოემბრიდგან 1-ლ ნოემბრამდე.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლით ერთად ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ ცალკე—3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა.

გამომცემელი ჟურნალისა
ვ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { ვ. ელიზ. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზუბარაშვილისა.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: Тифлисъ, Редакція «НАКАДУЛИ»

ᲮᲣᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

წიგნის მაღაზია „ᲪᲝᲓᲜᲐ“-ს გამოცემა.

ილია ჭავჭავაძის ლექსები.	15 კაპ.
რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა	20 „
რაშია ბედნიერება, იასე რაქველისა	10 „
სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა	10 „
ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი	7 „

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ (ᲡᲐᲗᲕᲔᲗ)

„ᲪᲝᲓᲜᲐ“

ᲛᲘᲗᲕᲐᲠᲗᲝᲜ ᲡᲝᲡᲘᲙᲝ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔᲡ.

✦ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ✦

ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა

ᲔᲤᲔᲡ-ᲔᲤᲔᲡ ᲙᲐᲞᲘᲗᲘᲐᲓ.

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არაკელანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ. Книжный магазинъ „ЦОДНА“.
(10—10).

ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲕᲐᲚᲝ

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡᲐ.

ᲕᲔᲑᲔᲣᲚᲝᲑ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡ

ᲨᲔᲡᲐᲙᲔᲠᲐᲓ

✦ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚ-ᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲔᲜ ᲨᲐᲡᲐᲓ ✦

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს პრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არაკელანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ᲐᲜᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ.

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებელად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ დრამა-ლეგენდა

ᲚᲐᲚᲐᲗᲘ,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად,

აგრედვე ფასს დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ᲞᲐᲠᲗᲝᲚᲘ ᲠᲣᲙᲐ

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1905 г.

на ежедневную (не исключая и послѣпраздничныхъ дней) дешевую, литературную, иллюстрированую и общественной жизни (по расширенной программѣ, въ увеличинномъ размѣрѣ, вполнѣ могущую замѣнить дорогія газеты) газету

„КАВКАЗСКІЙ ЛИСТОКЪ“

ГОДЪ III

ПОДПИСАЯ ЦѢНА:

За 340 годовыхъ номеровъ (форматъ газеты 13½×9½ вершковъ)

	На годъ.	На полгода.	На мѣсяцъ.
Въ Тифлисѣ	2 р. 50 к.	1 р. 60 к.	35 к.
Съ пересылкой	3 р. 75 к.	2 р. — к.	40 к.
Заграницу	8 р. — к.	5 р. — к.	1 р. — к.

Для служащихъ: закавказскихъ ж. д., военныхъ частей, сельскихъ общественныхъ канцелярій (черезъ управленіе, командировъ и уѣздныхъ начальниковъ) съ пересылкой на годъ 3 р 20 к. Отдѣльные номера въ Тифлисѣ по 2 коп., а въ другихъ городахъ и на станціяхъ желѣз. дор. по 3 коп.

Новые подписчики 1905 года., желающіе получать теперь-же газету—доплачиваютъ до 1-го января въ Тифлисѣ 20 коп., а иногородніе 30 коп., за каждый мѣсяцъ.

Редакція, вступая въ третій годъ изданія своей газеты и идя навстрѣчу читателямъ, особенно серьезное вниманіе обратитъ на кавказкую и общероссійскую хронику, на свѣдѣнія русско-японской войны, а также на художественный отдѣлъ, помѣщая всевозможные рисунки изъ войны и общественной жизни.

Торговому классу, какъ мѣстному, такъ и россійскому, будетъ давать свѣдѣнія о прибышихъ грузахъ, наложенныхъ платежахъ и о грузахъ, неплоучившихъ получателями и пр. необходимыя свѣдѣнія.

Такса на объявленія: траурныя отъ 1 р. до. 2 руб., обыкновенныя на 1-й страницѣ 4 коп., на остальныхъ—по 3 коп. за строку петита. Квартирныя и трудовыя—по 20 коп. за каждое объявленіе.

Пріемъ подписки и объявленій: въ Тифлисѣ—въ редакціи, уголъ Ртищевской и Сололакской, домъ Бебутовыхъ, № 22; въ типографіи газеты «Кавказскій Листокъ», Вельяминовская, № 7; въ „Бюро труда“—Эриванская площадь, противъ квера, караванъ-сарай Тамамшевыхъ. Иногородніе адресуютъ въ Тифлисъ на имя редакціи. Газета имѣетъ собственную, совершенно новую типографію, которая принимаетъ частные и казенные заказы по цѣнамъ внѣ конкуренціи.

Редакторъ-издатель *И. И. Тамамшевъ.*
(3—3—2).

Дозволено цензурою Тифлисъ, 29 ноября, 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.